ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2329151

ნომერი: AR1360030

თარიღი : 27.11.2015

გაცემის თარიღი : 18.12.2015

გაცნობის თარიღი : 18.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლეილა ზოიძე პ/ნ 61006008155
- ბათუმი დ.აღმაშენებლის ქ. N 32 ბ. 7

ორგანიზაცია:
- შპს ახალი სახლი კოდი: 400155069

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ლეილა ზოიძის 2015 წლის 27 ნოემბრის AR1360030 განცხადება, რომლითაც ითხოვს ამავე სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.035.724), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 19 ნოემბრიდან, 2018 წლის 19 მაისის ჩათვლით დამკვეთად დაფიქსირდა: ვალოდია მნათობიშვილი.

დღეისათვის განმცხადებელი აცხადებს, რომ სამშენებლო ობიექტის მესაკუთრე შეიცვალა და ითხოვს სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას. კერძოდ: ვალოდია მნათობიშვილის ნაცვლად, შპს ,,ახალი სახლის“–ის (ს/კ400155069) დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით დასტურდება, რომ (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან–მომზადების თარიღი: 26/11/2015; განაცხადის რეგისტრაციის N882015674617) სამშენებლო მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.035.724) ახალ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ახალი სახლი“ და მას აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის–სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლებისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლეილა ზოიძის 2015 წლის 27 ნოემბრის AR1360030 განცხადება;
2. ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ახალი სახლი“ (ს/კ400155069 ).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის N2300362 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი ქ. თბილისის შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge